პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ხუთშაბათი, 12 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 522 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## მილიერანის ჩამოგდება.

მილიერანის ჯიუტობას, როგორც იქმნა მოეღო ბოლო. უკანასკნელი რადიო გადმოგვცემს, რომ მარსალის კაბინეტი გადადგა, რადგან მან მარცხი განიცადა პარლამენტში.

როგორც ვიცით ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლამ მემარცხენე ბლოკსა და ეროვნულ ბლოკს შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

მიუხედავათ მემარცხენე ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვების საპარლამენტო არჩევნებზე დღემდის საპრეზიდენტო თანამდებობაზე განაგრძობდა ყოფნას მილიერანი, რომელიც არა ნაკლები დამცველია საფრანგეთის მსხვილი მრეწველობის ონავრების ინტერესებისა, ვიდრე პუანკარე.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც აშკარად გახდა ეროვნული პარტიის მარცხი პუანკარე იძულებული გახდა გადამდგარიყო. მაგრამ მილიერანი კი დარჩა თავის ადგილზე და მოინდომა პრეზიდენტობის უფლების სარგებლობა. მან არ მოისურვა გადადგომა.

ერიო კი თავის მხრივ უარზე იდგა მთავრობის შედგენაზე, სანამ მილიერანი არ დასტოვებდა პრეზიდენტის თანამდებობას.

ამ ნიადაგზე შეიქნა მთავრობის კრიზისი. მილიერანმა სცადა ეროვნულ ბლოკის გარეშე კაბინეთის შედგენა და მიანდო ის ერთ გაქნილ ბირჟევიკს ფრანსუა მარსალს, რომელმაც ორი დღის განმავლობაში შეაყენა ახალი მთავრობა.

მარსალის კაბინეტი უკანასკნელი ცდა, უკანასკნელი იმედი იყო მილიერანის, რომლის საშუალებით ის სცდილობდა თავის თანამდებობაზე შერჩენას.

მაგრამ მილიერანს ბედმა სასტიკად უმტყუნა.

პირველ სხდომაზედ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ფრანსუა მარსალის მთავრობა დამარცხდა და ის იძულებული შეიქნა გადამდგარიყო.

ცხადია მარსალს თან გაჰყვება მილიერანიც.

მარსალის კაბინეტის დაცემით პოლიტიკურ მმართველობის საქეს სცილდება ეროვნული ბლოკის უკანასკნელი წარმომადგენელი თვით მილიერანი.

ამრიგად საფრანგეთის რესპუბლიკის სათავეში კვლავ გამოჩნდა ერიოს ფიგურა.

მემარცხენე ბლოკმა მაინც სძლია მილიერანის ჯიუტობას, დაამარცხა ის.

---

# საფრანგეთში ახალი მთავრობა.

## მთავრობის პირველი სხდომა.

მინისტრთა საბჭომ დანიშნა მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების დღე.

დეპუტატთა პალატის სხდომა გაგრძელდა რამდენიმე წამი, მას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ქონდა. რეიბელი დეპუტატთა პალატაში და შერონი სენატში შეიტანენ 9 ივნისს ინტერპელიაციას იმ გარემოებათა შესახებ, რომლის გამო შესდგა მარსალის კაბინეტი. დღეს ელისე ის სასახლეში შესდგება კაბინეტის სხდომა.

## მილიერანი თავს იქებს.

გავასის სააგენტო იცნობება მილიერანის მიმართვის შინაარს, რომელიც გამოქვეყნდა ორივე პალატაში. მილიერანი მიმართვაში აღნიშნავს, რომ ის მუდამ სოციალურ პროგრესის პოლიტიკას, ნაციონალურ ერთსულოვნების, და ისწრაფვიდა მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ და სისწორით იცავდა კონსტიტუციონურ წესრიგს. ერიოს უარი მთავრობის შედგენაზე შეუძლებლად ქმნის სახელმწიფოს უმფროსისათვის თავის ვალდებულებების შემდეგში ასრულებას. 7 წლით არჩეულ პრეზიდენტის რწმუნებების პალატაში არჩევნების შედეგებთან დაქვემდებარება ქმნის ისეთ პრეცენდენტს, რომლის შედეგები წარმოუდგენელია გაითვალისწინო.

მიმართვა თავდება მითითებით, რომ პრეზიდენტის საკითხი შეუძლია გადასწყვიტოს მხოლო პარლამენტს. ამიტომ ორივე პალატა ვალდებულია გამოსთქვას თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ.

## მემარცხენე ბლოკი არ სცნობს მარსალის კაბინეტს.

მემარცხენე ბლოკის ფრაქციებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია, რომელსაც შეიტანენ პალატის დღევანდელ სხდომაზე: „პალატამ, მტკიცედ გადასწყვიტა არ დაიკავოს არავითარი ურთიერთობა სამინისტროსთან, რომლის თვით შემადგენლობა უარყოფაა პარლამენტის უფლებების, ის უარს ამბობს არა კონსტიტუციონურ დებატებისაგან, რისთვის ის დღეს მოწვეულია“, ადგენს გადაიდვას დისკუსია იმ დღემდე—მანამ მის წინაშე არ წარსდგება მთავრობა, არჩეული თანახმად ქვეყნის ნების ყოფისა.

### მოუწოდებს სიბრძნისაკენ.

თავის მიმართვის დასასრულს მილიერანი მოუწოდებს პალატას სიბრძნისაკენ, რომ პრეზიდენტზე მსჯელობის დროს მან გამოიჩინოს მეტი პატრიოტული კეთილ-გონიერება.

### მილიერანის უკანასკნელი იმედი.

საფრანგეთის რადიკალური პრესა დარწმუნებით ამბობს, რომ მარსალის კაბინეტი მილიერანისათვის უკანასკნელი იმედია, პრეზიდენტის პოსტის შესანარჩუნებლად.

### დეპუტატთა პალატაში.

დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ პალატას განუცხადა, რომ რეიბელმა შემოიტანა შეკითხვა მემარცხენეთა ბლოკის ყოფა-ქცევის შესახებ მილიერანის გადადგომის საკითხში.

შეკითხვას განიხილავენ მთავრობის დეკლარაციის შემდეგ.

### სენატში.

იუსტიციის მინისტრმა რატიემ მილიერანის მიმართვა წაიკითხა სენატში. მიმართვაში მოწოდებულია სენატი სიბრძნისაკენ და სხვათა შორის ნათქვამია, რომ თუ პრეზიდენტი იძულებული გახდა გადადგეს, ამით გაუქმებული იქნება საფრანგეთის კონსტიტუცია.

### შერანის შეკითხვა.

ანრი შერანმა შეიტანა შეკითხვა სენატში მთავრობისადმი, პოლიტიკური მდგომარეობისა და კონსტიტუციის პატივისცემის შესახებ, სენატის უმრავლესობამ 354 ხმით 345 წინაამდეგ უარყო შეკითხვის განხილვა.

# ამერიკა და იაპონია.

## საიმიგრაციო კანონი.

ვაშინგტონიდან მოსული ცნობით სენატმა მიიღო რეზოლიუცია საიმიგრაციო კანონის დროებითი გადადების შესახებ.

### ამერიკის პასუხი იაპონიისადმი.

თავის პასუხში იაპონიისადმი ამერიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ საიმიგრაციო კანონი არაა, იაპონიასთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების წინააღმდეგ მიმართული და იაპონელებს უფლება ექნებათ კვლავ ივაჭრონ ამერიკაში.

# ინგლისი

## გაფიცვა ძლიერდება.

გაფიცულთა დელეგატების კონფერენციამ დაადგინა განაგრძონ გაფიცვა ყველა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. დიდ ცენტრალურ რკინის გზის სახელოსნოს მუშები დასთანხმდა გაფიცულებთან შეერთებაზე, მიუხედავად ამისა ბირმანგამის რკინის გზის სახელოსნოს მუშებმა დაიწყეს მუშაობა, რადგან მუშებმა დაიჯერეს კავშირის საბჭოს რჩევა მუშაობაზე დაბრუნების შესახებ. მიუხედავად ელექტრო-რკინის გზის საზოგადოებათა მტკიცებისა, რომ გზებზე მდგომარეობა უმჯობესდება 8 ივნისს საღამოთ მიმოსვლა შეჩერდება ნახევარ საათით. ბრძოლის უნარის ზრდის შესახებ ცნობებს ადასტურებს კავშირის უბრალო წევრების მიერ გამოტანილი რეზოლიუციები, მოთხოვნით რკინის გზელთა ნაციონალურ კავშირის აღმასკომმა დახმარება გაუწიოს გაფიცულთა.

დასავლეთ რკინის გზის მუშებმა ლონდონში მიტინგზე დაადგინეს, თუ კავშირის აღმასკომი არ დაეხმარება რკინის გზის სახელოსნოთა გაფიცულებს, იმ შემთხვევაში გაფიცვა გადაიტანონ ლონდონის ყველა სავაჭრო საწყობების მტვირთავებზე.

# პოლონეთში.

## „მაკრატელი“.

„დვუგროშუვკა“ აღნიშნავს სასოფლო მეურნეობის და ფაბრიკის ნაწარმოების სიგნებზე ფასების დაკლებას. იმ დროს, როდესაც პურზე ფასი ნაკლებია ომამდე არსებულზე, საქარხნო ნაწარმოებებზე კი ოთხჯერ მეტია ომამდე არსებულ ფასებზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბევრი მიწის პატრონს არ დარჩენია სატრიალო თანხა.

### კომკავშირის წევრის ენგელის დახვრეტის შემდეგ.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომში პოლონეთის წარმომადგენელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ენგელის ვერაგულად დახვრეტის შემდეგ, ვარშავაში გაიმართა სტიქიური მრავალრიცხოვანი ახალგაზრდათა გამოსვლები, რომლებიც მიუხედავად ცემისა და დატუსაღებისა, მღეროდენ ქუჩებში „ინტერნაციონალს“.

ახალგაზრდათა პროფკავშირის ყველა სექციების მიერ მიღებულია პროტესტის რეზოლიუცია, ცენტრალურ საწარმოვო რაიონში და დობროვის ქვანახშირის რაიონში არ მოიპოვება არც ერთი წარმოება, სადაც არ იყოს კომკავშირის უჯრედი.

# იტალიაში

## პარლამენტში განზრახ მოწყობილი სკანდალები.

იტალიის პარლამენტში აყალ-მაყალი გრძელდება. წინა სხდომაზე ფაშისტებმა თითქმის შესძლეს თავის ყვირილით შეეჩერებიათ კომფრაქციის ორატორები დეენარი და მაფი. „უნიტა“ და „ავანტი“ სწერენ, რომ უმრავლესობას დეპუტატები განზრახ იწვევენ სკანდალებს, რომ ცასცენ პარლამენტის პრესტიჟი და ამით გაუადვილონ მთავრობას მისი ლიკვიდაცია.

### 12 საათის სამუშაო დღე.

ფაშისტური სინდიკატების კომიტეტმა მოლინელში აიძულა მუშები დასთანხმებულიყვნენ სამუშაო დღის გადიდებას 12 საათამდე.

### როგორ მოატყუეს მუშები.

მოლინელის შაქრის ქარხანამ გადასწყვიტა მუშაობის გაფართოების გამო დაექირავებია 200 მუშა. რადგანაც ამდენი უმუშევრები არ აღმოჩნდენ ფაშისტურ ორგანიზაციებში, ამიტომ იძულებული გახდნენ დაექირავებიათ წითელი პროფკავშირების წევრები. ჯამაგირის მიცემისას მათ დაუკავეს ათ-ათი პროცენტი და შემდეგ გამოუცხადეს, რომ ვინც არ დაეთანხმებოდა 12 საათის სამუშაო დღეს ის დაკარგავდა ამ პროცენტს და იქნებოდა სამსახურიდან დათხოვნილი.

### ახალი ტერიტორიის გადაცემა

სტეფანის სააგენტოს ცნობით ხელი მოაწერეს იტალიისათვის ჯუბის ტერიტორიის გადაცემის შეთანხმებას.

### სტოვებენ ფაშისტების რიგებს.

ფაშისტების პრესა აღნიშნავს, რომ ინტელიგენცია თან და თან სტოვებს ფაშისტების რიგებს. ანტი ფაშისტური მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერდება სტუდენტობაში.

### უნდობლობა ფაშისტებისადმი.

ჩრდილოეთ იტალიის ზოგიერთ ქალაქებში, კომუნალურ საბჭოების არჩევნების დროს, გაიმარჯვა ოპოზიციამ. ფაშისტებმა ვერ მიიღეს ის ადგილებიც კი, რომელნიც მათთვის თითქმის უზრუნველყოფილი იყო.

# საბჭოთა ფედერაცია.

## საფეიქრო მრეწველობის გადიდება.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ნება დართო სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატს გაადიდოს საფეიქრო მრეწველობის წარმოება 35 პროც. გასულ წლის პროგრამასთან.

### ჰიდრო. ელსადგური ერევანში

სახელმწიფო გეგმის კომიტეტმა შესაძლებლათ სცნო სახელმწიფოს მხრივ მონაწილეობა მიიღოს ერევნის ჰიდრო ელექტრ. სადგურის აშენებაში, რისთვისაც გადადებულ იქნა 200.000 მან.

### გადმოსახლების მსურველნი.

მოსკოვში ჩამოვიდნენ ჩიკაგოს სასოფლო სამეურნეო კომუნის „ჰეროლდის“ წარმომადგენლები, რომელთაც სურთ გადმოსახლდნენ სსრ კავშირში.

### კომუნა „შეთანხმება“.

შვეიცარიიდან ჩამოვიდნენ იქაური ემიგრანტები კომუნის პლეტენის მეთაურობით. მათ დააარსეს კომუნა „შეთანხმება“ და დასახლდნენ სიზრანის მაზრაში.

# იტალია და ოსმალეთი

## თავშეკავებული აღშფოთება.

ოსმალეთში ანტი-იტალიურ განგაშის გამო, იტალიის პრესა გამოსთქვამს თავშეკავებულ აღშფოთებას, იტალიისათვის მიწერილ დამპყრობელურ სურვილებისათვის

### მუსოლინმა დაიბარა ოსმალეთის ელჩი.

ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ მუსოლინმა, საკუთარი ინიციატივით დაიბარა ოსმალეთის ელჩი და განუცხადა, რომ დაუშვებელია ოსმალეთის პრესის მიერ უსაბუთოდ ატეხილი განგაში ჯარების ცრუ კონცენტრაციის შესახებო.

### მუქარის მაგიერ.

მუსოლინმა შემდეგ განუცხადა ოსმალეთის ელჩს რომ ოსმალეთის ექვებს. რომ არავითარი გამართლება არა აქვს, ამას მომავალი დაამტკიცებს ხოლო მას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ორივე ქვეყნის კეთილ მეზობლურ განწყობილებასო.

### ელჩმა დაარწმუნა.

ოსმალეთის ელჩმა დაარწმუნა მუსოლინი, რომ იგი დაუყოვნებლივ გადასცემს აღნიშნული საუბარის შინაარს თავის მთავრობას, რომელიც უსათუოდ მიიღებს ზომებს, რომ ასეთი რამ შემდეგში აღარ განმეორდეს და დაუსაბუთებელი ხმები არ გავრცელდეს.

# ალბანეთის აჯანყება

### პარიზის ცნობა.

პარიზში მოვიდა ცნობები, რომ აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები ტირანთან და დაეუფლენ ქალაქს.

# ტირანის აღება.

რომის გაზეთების ცნობით გენ. ბურის მეთაურობით აჯანყებულებმა გუშინ საღამოს შეუტიეს ლუნია ალესიოს ფრონტის მიმართულებით, შეტაკება გაგრძელდა ხუთ საათს.

### მ ი რ ბ ი ა ნ.

ფიქრობენ, რომ ტირანს უთუოდ აიღებენ აჯანყებულები. ქალ. ბარიში ამის გამო ჩამოვიდა ალბანეთის ჩინოვნიკების და მინისტრების ჯგუფი ას კაცამდე.

### აჯანყებულნი შევიდნენ ქალაქში.

ვალონიდან მოსული ცნობით. აჯანყებულნი უკვე შევიდნენ ქალ ტირანში.

# რადიო ყოველ მხრიდან

## მოსულის კონფერენციის ჩაშლა.

კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობებით, ინგლისელი დელეგატები დასტოვებენ ანგორას მაშინათვე, როგორც ხელმოწერილი იქნება ოქმი მოსულის კონფერენციის ჩაშლის შესახებ.

### ოსმალეთ—ბულგარეთი.

ბულგარეთის წარმომადგენლები მოვიდნენ ანგორაში, ოსმალეთთან მეგობრობისა და კომერციული ხელშეკრულების აღსადგენათ.

### ოსმალეთ—ესპანეთი.

ანგორაში მოელიან აგრეთვე ისპანეთის წარმომადგენლებს ოსმალეთ—ესპანეთის შორის სამეგობრო ხელშეკრულების დასადებათ.

## გაფიცვა ლონდონში.

ლონდონის მიწის ქვეშა რკინის გზის 31 სადგური კვლავ დაკეტილია. დახურულ სადგურთა რიცხვი შაბთს აღწევდა სამოცს.

### აფეთქება მაღაროებში.

პენსილვანიის ქვა-ნახშირის მაღაროებში მოხდა დიდი აფეთქება, რომლის დროსაც მოკლულია 29 მემაღაროე და დაიჭრა 43.

# უკანასკნელ საათში

## მარსალის კაბინეტი გადადგა

### მარსალის მაგალითს მილიერანმაც უნდა მიბაძოს.

პალატაში და სენატში მომხდარ კენჭის ყრის შედეგად მოჰყვა მარსალის კაბინეტის გადადგომა.

მილიერანმა განაცხადა, რომ ისიც აპირებს გადადგომას.

სამშაბათს, პრეზიდენტის მიმართვის წაკითხვის შემდეგ დეპუტატთა პალატამ 329 ხმით 214 წინააღმდეგ მიიღო ერიოს წინადადება სამინისტროსთან ყოველგვარ მოლაპარაკების უარყოფის შესახებ. სენატმაც ანალოგიური დადგენილება მიიღო.

შესაძლებელია, პარასკევს ვერსალში მოხდეს ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

# სადაც სამნეო ნაწილი სუსტობს, იქ უვარგისი პური ცხვება.

ამ სათაურით ამხ. პუგაჩოვის წერილია მოთავსებული „კრასნი ვოინის“ № 129-ში, სადაც ის აღნიშნავს პურის უვარგისობის მნიშვნელობას და მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ პირთ ისწავლონ პურის გამოცხობა.

მართლაც ყურადღების ღირსია ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს წ. მოლაშქრის ყოფა-ცხოვრების საკითხში. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქმნეს მოწესრიგებული. ამ კითხვის დასმას ჩვენს გაზეთში იშვიათად შეხვდებით, ამავე დროს კი ხშირად ყოფილა ჩვენს ნაწილების ცხოვრებაში უვარგისი პურის დარიგების შემთხვევები. მას ეხლაც აქვს ადგილი, რაც მიეწერება უსათუოდ სამნეო ნაწილის სისუსტეს. ერთ დროს საგარნიზონო პურის საცხობში უვარგისი პური ცხვებოდა, სწორეთ ამ გარემოებამ გამოიწვია თვით ნაწილებში ფურნეების მოწყობა, მაგრამ აქაც საუბედუროთ, ზოგ შემთხვევაში უვარგისი პური ცხვება. ეს უნდა მიეწეროს უსათუოდ სამნეო ნაწილის ამ დარგში უორგანიზაციო მუშაობას.

ჩვენმა სამნეო ნაწილის უფროსებმა კარგათ უნდა შეიგნონ ის გარემოება, რომ თუ წ. მოლაშქრეს არ აქვს კარგად გამომცხვარი პური ის მას ვერ შესჭამს და არც საშვალება აქვს რომ სამაგიერო იყიდოს.

რამოდენიმე დღის წინათ ნაწილში ყოფნის დროს მე მსმენია ახლად მოსულ წ. მოლაშქრეებიდან საყვედური პურის უვარგისობის შესახებ და მეც დავრწმუნებულვარ, რომ პური მართლაც ნაკლები ღირსების იყო. ამიტომ საჭიროა პირველ რიგში იყოს დაყენებული პურის გამოცხობის საკითხი, რადგან წ. მოლაშქრის ცხოვრება დამოკიდებულია უმთავრესათ სმა-ჭამის საკითხთან. ეს თუ მას არ აქვს, მაშასადამე ის ვერ იმუშავებს, ვერც სამწყობრო დარგში და ვერც პოლიტიკურში. ამ საქმის პასუხისმგებელი არიან, როგორც ლეგთავი, აგრეთვე სამხკომი, სამნეო ნაწილის უფროსი და ნაწილის ექიმი. მე მგონი აღნიშნული პირები იკისრებენ თავის თავზედ ამ საქმის მოგვარებას, როგორც მათ პირდაპირ დანიშნულებას და ერთხელ და სამუდამოთ მოაგვარებენ პურის გამოცხობის საკითხს.

არა მგონია საჭირო შეიქნეს ტრიბუნალის და პროკურატურის ჩარევა ამ საქმეში, როგორც ამხ. პუგაჩოვი აღნიშნავს.

ს. ლ.

# ყვითელი ინტერნაციონალი და მისი მორიგი გამცემი გეგმები.

ამ უკანასკნელ დღეებში მოხდა საერთაშორისო მენშევიზმის თითქმის ყველა ხელმძღვანელ ორგანიზაციების ყრილობები და თათბირები, როგორც არიან ამსტერდამის ყვითელ პროფკავშირთა კონგრესი ვენაში, საერთაშორისო წარმოებითი კავშირების სეკრეტარიატების თათბირები, მე-2-ე ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი და ბოლოს ამ უკანასკნელის თათბირი ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალის პრეზიდიუმთან.

ყველა ამ კონგრესების და თათბირთა საგანს შეადგენდა სოციალ-გამყიდველთა მორიგი ამოცანების გამომუშავება.

საერთაშორისო მენშევიზმა კიდევ ერთხელ ამცნო მთელ ქვეყანას თავისი მ.ღალატე, გამცემი ტაქტიკა და ამოცანები, მიმართული მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ მსოფლიო ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

ყვითელ ინტერნაციონალმა კიდევ ერთხელ გაილაშქრა კომინტერნის და საერთოდ კომუნისტურ მოძრაობის წინააღმდეგ. ინგლისელ პროფკავშირების წარმომადგენელთა მოთხოვნილებაზე, რათა განახლებულ იქნას მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან, კონგრესმა კატეგორიული უარი სთქვა.

სამხედრო ტეხნიკის მიხწევები, მილიტარიზმის ელვის სისწრაფით ზრდა, ხშირი კონფლიქტები იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ახალ საშინელ სისხლის მღვრელ ომით ემუქრებიან მთელ კაცობრიობას.

ამ გარემოების გვერდის ახვევა ვერ შესძლო გამცემ ინტერნაციონალმა. ის იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამ საშინელ საკითხისათვის. მაგრამ აქაც თავის დადგენილებებით ის მხოლოდ კმაყოფილდება ცარიელი შემთანხმებელი სიტყვებით და სინამდვილეში ხელს უწყობს ამავე საფრთხის განვითარებას. იმის მაგივრად, რომ მან მოუწოდოს მუშათა კლასს აქტიური მოქმედების და მედგარი ბრძოლისაკენ მილიტარიზმის წინააღმდეგ, ის მხოლოდ ისვრის უბრალო რეფორმისტულ ლოზუნგებს, რომლებიც ვერავითარზიანს ვერ მიაყენებს მილიტარიზმს.

მე 2-რე ინტერნაციონალი აგრეთვე იძულებული შეიქმნა პასუხი გაეცა კაპიტალის შემოტევის და რვა საათის სამუშაო დღის შენარჩუნების კითხვებისათვის. აქაც მას არავითარი ახალი არ უთქვამს. ისევ ძველებურად ის მოუწოდებს მუშებს მოთმინებისაკენ და აფრთხილებს გაფიცვებისაგან.

ყვითელ ინტერნაციონალის გათახსირება მარტო ამით ‎არ ამოიწურება.

მან თავისი დასტური გამოიტანა ექსპერტთა კომისიის დადგენილებაზე და მით ხელი მოაწერა გერმანიის გაწამებულ პროლეტარიატის განადგურებაზე.

ვინ მოსთვლის იმ გამცემლობას, საზიზღრობას და ღალატს, რომლითაც გამსჭვალულია საერთაშორისო მენშევიზმის უკანასკნელი დადგენილებანი.

გაკოტრებული ბელადები მოკლებულ ყოველივე უნარს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელობისა, თავისი შემთანხმებელი, ორპირული პოლიტიკით საუკეთესო სამსახურს უწევენ დახავსებულ კაპიტალიზმს და ყოველმხრივ ხელს უშლიან პროლეტარულ რევოლიუციას.

არავითარი გარკვეულ, განსაზღვრულ მოქმედების გზს ისინი არ აძლევენ მუშათა კლასს რომ შეინარჩუნონ თავისი ზეგავლენა მასების ფართე ფენებზე.

მე 2-ინტერნაციონალის „უჯარო“ ლიდერები ხანგამოშვებით იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მასების სულისკვეთებას, განწყობილებას და წამოისროლონ ისეთი ლოზუნგი, როგორც საბჭოთა კავშირის ცნობაა.

ჩვენ ვიცით თუ როგორი ცილისწამებებს და ათასგვარ ჭორებს ავრცელებდა გამყიდველი ინტერნაციონალი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; თუ როგორი გააფთრებით ებრძოდა პროლეტარული დიქტატურის გამარჯვების საქმეს რუსეთში. ევროპის მუშების ზეგავლენით დღეს კი ის სხვა ანგებზე მღერის და რიხიანად აცხადებს „ჩვენ მომხრე ვართ საბჭოთა კავშირის ცნობისა, მხოლოდ არც რუს და ქართველ მენშევიკებს არ ვაწყენინებთო,“

მაგრამ ეს ხომ სრული შეუსაბამობაა.

შეუძლებელია საბჭოთა კავშირის ცნობა, თუ დაცული იქნება მენშევიკების ინტერესი; მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს ეს ორაზროვანი რეზოლიუცია. ის თვალის ახვევაა ევროპის მუშებისა და სინამდვილეში ნიშნავს ძველ პოზიციას მეორე ინტერნაციონალის საბჭოთა კავშირისადმი, რაც გამოიხატება ორ სიტყვაში: შეურიგებელი მტრობა.

ასეთია მოკლედ მეორე ინტერნაციონალის საერთო სახე და მისი უკანასკნელი დადგენილებათა შინაარსი.

ყვითელმა ინტერნაციონალმა იოტის ოდენად არ შესცვალა თავისი მოღალატე პოლიტიკა.

მთელი მისი მუშაობა და მომავალი გეგმები მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ და კაპიტალისტური მაშინის გასამაგრებლად.

მეორე ინტერნაციონალი შეიქნა კაპიტალისტურ სამეფოს დამცველად.

ამიტომ საერთაშორისო პროლეტარიატის უპირველეს ამოცანას შეადგენს ბოლო მოუღოს ბურჟუაზიის ამ უერთგულეს ძაღლს, რომ შემდეგ ადვილი გახდეს თვით ბურჟუაზიის განადგურება.

—გ.




## ჯარში გაწვევის საქმე ოზურგეთის მაზრაში.

ჯარში გაწვევა ოზურგეთის მაზრაში საუცხოვოდ მიდის.

რაიონების გასაწვევი ახალგაზრდობა მწყობრად უკლებლივ ცხადდებიან დანიშნულ დროისათვის გასაწვევ პუნქტზე. აქ მათთვის ადგილობრივ მცხოვრებთა თანდასწრებით ეწყობა მოხსენებები წითელ ჯარის მნიშვნელობა—აუცილებლობაზე—მის ცხოვრებაზე და ეხლანდელ მორიგი გაწვევის შესახებ. სულიერი განწყობილება, როგორც თვით გასაწვევ ახალგაზრდობაში, ისე ადგილობრივ მოსახლეობის შორისაც საუკეთესოა.

პირველსა და მეორე რიგში გასაწვევთა რიცხვს სავსებით აკმაყოფილებს უშეღავათო ახალგაზრდათა რიცხვი.

შედარებით გასულ წლებზე საგრძნობლად ნაკლებია ავადმყოფთა რიცხვი. 3 ივნისს მოეწყო მიღებულ არმიელთა პირველი ჯგუფის საზეიმო გაცილება.

ჯგუფი დანიშნული იყო არტილერიისათვის. ზეიმში მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის კომუჯრედები და კომკავშირის უჯრედების პარტსკოლა და ქალების პროფესიონალ. სკოლა.

### საზოგადოება აღტაცებით აცილებს ახალწვეულებს.

დღის 5 საათზე პროცესია მუსიკითა და გასამგზავრებელ წითელ არმიელებით პირველ რიგებში მიემგზავრება ქალაქის ქუჩების გავლით სადგურისაკენ—სადაც მისვლისას გაიხსნა მიტინგი.

მიტინგს ესალმება ადგილობრივი ხელისუფლება, ქართულ დივიზიის წარმომადგენელი.

### გურიის მშრომელების ნაკაზი ახალწვეულებს.

გურიის მშრომელთა დავალებით ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. თ. დოლიძე კითხულობს მიმავალ არმიელთ ნაკაზს. ნაკაზს იბარებს გაწვეულ ახალგაზრდათა სახელით ახალი წითელ არმიელი ამხ. თენეიშვილი, რომელიც დაახლოებით ამბობს შემდეგს:

### „წითელ ყაზარმაში—წიგნით და თოფით ხელში უძლეველი ვიქნებით.

ჩვენ მივდივართ წითელ ჯარში სრულის შეგნებით, რომ ჩვენ იქ დაგვხვდება არა ძველებური ყაზარმა, არამედ წ. ყაზარმა, რომელიც თამამად შეგვიცვლის პოლიტიკურ სკოლას—საიდგანაც ენერგიული შრომის შემდეგ გამოვალთ ნამდვილი გამობრძმედილი მუშაკები, რომელთაც კარგათ შეგვეძლება სწორად აზროვნება და საკუთარი მუშებისა და გლეხების ინტერესების დაცვა. ჩვენ იქ წითელ ყაზარმაში ცალ ხელში თოფით, მეორეში წიგნით დავანახებთ მსოფლიოს თუ როგორ უნდა სწავლა და საჭიროების დროს მუშებისა და გლეხების ინტერესების დაცვისათვის ბრძოლა“.

მატარებლის გასვლისას მიტინგი ცხადდება დახურულად და მიმავალ ახალგაზრდობა სიმღერებითა და მხიარული ყიჟინით სხდებიან უკვე დაძრულ მატარებელს და მიექანებიან იქითკენ, სადაც მოუწოდებს მათ საბჭოთა ხელისუფლება.

მშვიდობით, მშვიდობით—მხნედ იყავით—ჯანმრთელები დაგვიხვდით დაბრუნებისას ისმის მატარებლიდან ხმები.

მეორე გაცილება დანიშნულია 6 ივნისისათვის.

ამხანაგო რწმუნებულო, გახსოვდეთ ჩვენც ეგრე უნდა გაგვაცილოთ—მეუბნებიან ჯერ კიდევ გაუსინჯავი ახალგაზრდობა.

გურიის მშრომელები ყოველთვის ზეიმით გააცილებენ და მიიღებენ ყველა იმათ, ვინც მათთვის მშვიდობიან დაწყნარებულ შრომის მოსაპოებლად იარაღით ხელში მედგრად სდგას საბჭოთა კავშირის საზღვრებზე.

ბ. კ—ე.

## სასკოლო მუშაობა ცხენოსან ლეგიონში.

ლეგიონში სასკოლო მუშაობა უკვე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მეცადინეობს ხუთი ჯგუფი. წითელი არმიელები დიდი ინტერესით და სიხალისით მეცადინეობენ.

აღსანიშნავია რომ ლეგიონის თავი დიდი ყურადღებით და ენერგიით ეკიდება სკოლის საქმეს.

სწარმოებს მეთოდიური მუშაობა. მასწავლებლის თანაშემწენი კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

წითელ არმიელები ხშირათ გვეკითხებიან; „მეორე საფეხურის სკოლა, რომ გავიაროთ გვექნება საშვალება თუ არა, რომ მუშფაკში შევიდეთ? მართლაც, ეს საკითხი საყურადღებოა. ბევრი არიან ისეთები, რომლებსაც გადვიძებიათ სურვილი სწავლის გაგრძელებისა. ესენი არიან სოფლელი გლეხის შვილები, რომელთაც წითელ ჯარში შესვლით მიეცათ საშვალება წერა-კითხვის შესწავლის. ბევრ მათგანში ხდება თვით გარდატეხა. მათი სურვილია განთავისუფლების შემდეგ სამსახურში მოწყობა და სამსახურთან ერთათ მეცადინეობა მუშფაკებში. ამაზე კი საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მასწავლებლების და დივიზიის სასკოლო სექციის მხრივ. ამ უკანასკნელმა უნდა გამონახოს საშვალება ზოგიერთ სახელმძღვანელო წიგნების შესაძენათ, რადგან უსახელმძღვანელოთ მეორე საფეხურის სკოლაში მუშაობა ძნელია.

ამით ჩვენ საშვალებას მივცემთ, სწავლით მოწყურებულ არმიელებს შეიძინონ ცოდნა განათლება და რესპუბლიკას მათი სახით მიეცემა საიმედო მუშაკები.

ბ. ძ—ძე.

## რას წარმოადგენს წითელი ყაზარმა?

### ახალ გაწვეულის ხმა.

ზოგიერთ ახალგაზრდას, რომელსაც არ უნახავს წითელი ოჯახი (წითელი ყაზარმა) სადაც თავი მოუყრია შეგნებულს, საბჭოთა ხელისუფლების დამცველს, და მის სადარაჯოზე დასადგომად საჭირო სამხედრო გაწვრთნის მისაღებად, ახალგაზრდები მისთვის გასამტყუნარი არ არის, რომ წითელი ყაზარმა მას წარმოუდგენია, ისე როგორც ახალგაზრდის თავისუფლების შემზღუდავი რამ.

წითელ ყაზარმაში ყველაფერია, რაც პატიოსან ახალგაზრდასათვის აუცილებელ და საჭირო საგანს შეადგენს. აი მისი სულიერი მოთხოვნილება, დაკმაყოფილებულია მას გზა გაშლილი აქვს. წითელი ყაზარმა მას აჩვევს აქტივობას და ცხოვრებაში დამოუკიდებელ ბრძოლას. წითელი ყაზარმის შემდეგ წ. არმიელი სათანადო ცოდნით უბრუნდება თავის ოჯახს და ამნაირად შეაქვს იქ ახალი განათლების შუქი. მოსული ახალ წვეულები უკვე სათანადოთ ვაფასებთ ყაზარმაში შექმნილ მდგომარეობას. ჩვენ გულს მეტად ახარებს ის გარემოება, რომ ჩვენი უფროსი ანუ ჩვენზე წინათ მოსული არმიელები სათანადოთ შეგნებული არიან. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ჩვენც გვექნება საშვალება მათსავით ცოდნის შეძენის. ამას ამტკიცებს უფროსების მხრივ ჩვენდამი განსაკუთრებული მზრუნველობით მოპყრობა და უჩვეულო ყურადღება.

ახალწვეულები სალამს უძღვნით და მადლობას იმ წითელ პოლიტხელებს და სამხკომებს, რომლებმაც დაგვახვედრეს სამაგალითოდ აღზრდილნი ახალგაზრდები.

გაუმარჯოს წითელ-ყაზარმას, რომელსაც მიზნად აქვს საჭირო სამხედრო გაწვრთნა, პოლიტიკური და კულტურული აღზრდა ახალგაზრდობისა, რომლებიც საჭირო შემთხვევაში, როგორც ერთი, შეგნებულად წავლენ პროლეტარიატის მოწინააღმდეგე კლასის საბოლოოდ დასამარცხებლად.

წ. არ. სერგო მონიავა.

## სამხედრ. საქმე

### ქიმიური მოგერიების ზომები.

იმის და მიხედვით თუ რა გვარ ქიმიურ თავდასხმას მოახდენს მოწინააღმდეგე, მას წარეყენება სხვა და სხვა ნაირი ქიმიური მოგერიება. თავდაცვის ყოველ შემთხვევისათვის გამოსადეგი საშუალებაა, პირადი თავდაცვის მნიშვნელობით—აირ-საწინააღმდეგო ნიღაბები.

მოწინააღმდეგის აირ-ბალონიან იერიშისა და შხამიან კვამლით იერიშის დროს აირ-მოსაგერიებელი მიზნისათვის წინასწარი ზომები უნდა იქმნას მიღებული.

ქიმიურ დაცვის ორგანიზაციის ერთ-ერთი წინასწარი ღირსშესანიშნავ ზომათ უნდა ჩაითვალოს—ლამით განსაკუთრებულ ქიმიური საყუჩების (სეკრეტების) დარაჯობა, დღისით კი ამას შეასრულებენ ასეულის აიროს მოთვალთვალენი, რისთვისაც იგინი გაიგზავნებიან განსაზღვრულ ქიმიურ სათვალთვალო პუნქტებზედ.

ქიმიური მოთვალთვალე-საყუჩები მოვალენი არიან, რამდენადაც კი შესაძლო იქნება წინასწარ შეატყობინონ პოზიციის უბანზედ დალაგებულ ჯარს დაწყებულ იერიშის შესახებ.

ამისათვის ქიმიური საყუჩნი უნდა შესაძლოდ წინ იყვენ მოთავსებულნი, მტერთან ახლოს.

ქიმიური საყუჩნი იგზავნებიან მხოლოდ ატმოსფერის ხელშემწყობ პირობებში, შებინდების შემდეგ, ქიმიური საყუჩთა შედგენილება არა ნაკლები ორი კაცისა უნდა ინიშნებოდეს, უმთავრესად ლეგიონის ქიმიურ გუნდის შედგენილებიდან.

ქიმიური საყუჩები უნდა მომარაგებული იყვენ სათანადო საშთანგო (სასიგნალიზაციო) საშუალებებით. ნაწილების საბრძოლო დალაგებისაგანაა დამოკიდებული ქიმიურ საყუჩთა რიცხვი და დალაგების ადგილები, ქიმიურ საყუჩებს თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს აირ-საწინააღმდეგო ნიღაბები უნდა სადარაჯო მდგომარეობაში ჰქონდეთ ჩამოკიდებული. აირ საწინააღმდეგო სადარაჯო მდგომარეობა წარმოადგენს, როცა ნიღაბი გულზედაა ჩამოკიდებული, ზურგზედ გადაგდებულია მისი სახური, ქვეითა ყელიდან გამობერილია ნახშირის მტვერი და საცობი გამოღებულია. საბრძოლო მისადევარში ყოველ თითო ასეულის უბანზედ უნდა ერთი ქიმიური საყუჩი მოდიოდეს.

ქიმიურ საყუჩთა შემადგენლობას უნდა შთაგონებული ჰქონდეთ, რომ მათ უნდა ასტეხონ განგაში მოწინააღმდეგის ღრუბლიან იერიშის დაწყების მცირეოდენ ეჭვის შემთხვევაშიც კი, რომ უკეთესია რამოდენიმეჯერ მოჰხდეს ტყუილა განგაში, ვიდრე შეცდომის შიშით, გამოუშვან მოწინააღმდეგის ღრუბლიანი დაწყებული იერიში.

გ. ბ—შვილი

## ქართულ დივიზიის საბიბლიოთეკო გამოფენა.

ექვს ივნისს დივიზიის კლუბში გაიხსნა ქართულ დივიზიის საბიბლიოთეკო გამოფენა. საბიბლიოთეკო საქმეს ჩვენს ჯარში დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ბიბლიოთეკები დიდ მუშაობას აწარმოებს წ. მოლაშქრეთა გათვითცნობიერების საქმეში. არ არის დარჩენილი არც ერთი ნაწილი, სადაც ბიბლიოთეკა—სამკითხველოები არ იყვეს მოწყობილი და ხელმძღვანელი არ ყავდეს. სამკითხველოებში იმართება გაზეთების და წიგნების ხმა მაღლა კითხვა, რასაც უსათუოდ დიდი ნაყოფი მოაქვს წ. მოლაშქრეების განვითარების საქმეში. ჩვენს დივიზიას თოთხმეტი მუდმივი და რამოდენიმე მოძრავი სამკითხველოები აქვს, მოძრავი სამკითხველოები ემსახურებიან თავის ნაწილიდან მოშორებით მდგომ ერთეულებს. ყველა სამკითხველოები თანასწორად ღებულობენ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს, რომლითაც სარგებლობენ, როგორც წ. მოლაშქრეები ისე ნაწილის მუდმივი შემადგენლობა და ზოგ შემთხვევაში მოქალაქეებიც კი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ქართული წიგნების ნაკლებობა ჩვენს სამკითხველოებში, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ უქონლობის გამო ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა სურვილს.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულია მთელი რიგი ზომებისა, რათა მომავალში უზრუნველყონ ნაწილები ქართული წიგნებით.

გამოფენის დიოგრამები და ადგილობრივი ბიბლიოთეკების ცნობებიდან სჩანს, რომ ჩვენი ნაწილის სამკითხველოები შეგნებულად უძღვებიან თავიანთ საქმეს და ენერგიულად მუშაობენ ამ დარგში, ეს მათი მუშაობიდან სჩანს, რომელიც გამოფენილია და ამშვენებს კუთხეებს. მე ბევრს არ დავსწერ ამის შესახებ და არც აქ შეუდგები მათ მუშაობის შეფასებას, სასურველია ვისაც სურს ყველამ ნახოს და თვით დარწმუნდეს სამკითხველოების ენერგიულ მუშაობაში და მის ნაყოფიერებაში.

უნდა ავღნიშნო მკითხველთა რაოდენობის ზრდა. წარსულ წელს მკითხველთა რაოდენობა არ აღემატებოდა 40 პროც. ეხლა ის გაზრდილა 70 პროც. რაც უნდა მიეწეროს სამკითხველოების გამგეების ენერგიულ მუშაობას. აგრეთვე ჩვენს ყურადღებას მეორე გარემოებაც იპყრობს: წინათ მხოლოდ გაზეთებს უფრო ეტანებოდნენ, ლიტერატურას კი არა იმდენათ. ეხლა ამითაც დაინტერესებული არიან და ძალიან ეტანებიან. ჩვენს სამკითხველოების გამგეებს მეტს ენერგიას უსურვებთ წ. არმიელების კულტურულად აღზრდის საქმეში.

ს. ლ.

## ახალი ამბები.

— **ქართულ სამხედრო კოოპერატივში.** მაისის შუა რიცხვებიდან ქართულ მთლ. სამხ. კოოპერატივში სწარმოებს თავისუფალ წევრთა მიღება. ჩამოსული ახალწვეულები დიდის ინტერესით ეწერებიან კოოპერატივში.

— **წიგნების განაწილება სამხედრო ნაწილებში.** მიმდინარე 1924 წლის განმავლობაში ქართ. დივიზ. ბაზა-კოლექტორმა მიიღო და გაანაწილა 1.400 ცალი ქართული და 7.000 რუსული წიგნი.

— **საბიბლიოთეკო ჟურნალი.** ქ. დივიზ. საბიბლიოთეკო საბჭოს განზრახული აქვს გამოსცეს ქართულ ენაზე ჟურნალი საბიბლიოთეკო საკითხების გასაშუქებლათ.

— **საანგარიშო გამოფენა.** ამჟამად წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში გახსნილია ქართ. დივიზიის საბიბლიოთეკო საქმეთა საანგარიშო გამოფენა. გამოფენაზე შესვლა უფასოა.

— **ლუდზე და გამაგრილებელ წყლებზე ფასების დაწესება.** ქალ. აღმასკომთან არსებულმა ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ მიმართა შუამდგომლობით შინაგან ვაჭრობის კომისარიატს დააწესოს მტკი-

ცე ფასები ლუდზე და სხვა გამაგრილებელ წყლებზე.

— **სასადილოებში.** ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ ვალდებულათ გახდა სასადილოების პატრონები, გამოფინონ ფასები სადილებზე და სხვა საჭმელებზე.

— **მექანიკური პურის საცხობები.** ა. კ. შინა ვაჭრობის კომისარიატმა წინადადებით მიმართა მუშათა მთლიან კოოპერატივს, რომ თფილისში მოაწყოს ერთი მექანიკური პურის საცხობი.

— **წიგნები ფიზიკ. კულტურაზე.** ფიზიკური კულტურის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გამოსცეს ქართულ ენაზე წიგნები ფიზიკური კულტურის მნიშვნელობის შესახებ.

— **ახალი სალერბო ნიშნები.** 15 ივნისიდან გაუქმებულ იქნება ა. კ. სალერბო ნიშნები და მათ მაგიერ ხმარებაში შემოვა საერთო საკავშირო ნიშნები.

— **ბაზრობა სოფელში.** 14 ივნისიდან სოფ. მეჯვრის ხევში (გორის მაზრა) გაიხსნება სასოფლო მეურნეობის ბაზრობა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კოოპერატიული ორგანიზაციები.

— **ჩაის გატანა საზღვარ გარეთ.** აჭარისტანში საზღვარ გარედ გასატანათ და გასანაღდებლათ მზადდება 20,000 ფუთი ჩაი.

— **ფართალი გლეხებისათვის.** უზრუნველყოფის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საფეიქრო სინდიკატის წინაშე, რათა ლეჩხუმის გლეხკომს მიეცეს 10.000 მან. ხოლო რაჭისას კი 15.000 მანეთის ფართალი.

— **საბინაო ალმშენებლობა.** ტროცკისა და ცხაკაიას სახელობის მუშათა ახალშენებში უკვე დაიწყო მუშაობა სახლების ასაშენებლათ. მომავალი წლისათვის აშენებული იქნება 31 სახლი.

— **შრომის სასამართლოები.** შრ. სახ. კომისარიატთან ლაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შრომის სასამართლოების მუშაობის გამორკვევა.

— **წყალსადენის გაყვანა დიდუბეში.** წყალსადენის სამმართველომ უკვე დაიწყო დიდუბეში წყალსადენის გასაყვანად მუშაობა.

## ხელოვნება.

— **სამუსიკო საღამო.** ორშაბათს, 16 ივნისს სახ. ოპერის თეატრში გაიმართება კონსერვატორიის საოპერო კლასის მოწაფეთა საღამო, ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

— **არშინ-მალ-ალან.** საოპერო თეატრის მოსამსახურენი, პარასკევს მართავენ დიდ საღამოს ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „არშინ-მალ-ალან".

# სამეურნეო განყოფილება.

**მორწყვით ბაღ-ბოსტნები.**

გვალვის წინაამდეგ ერთი უმთავრესი საშუალებაა ბაღ-ბოსტნის უხვათ და თავის დროზე მორწყვა. როგორც იტყობინებიან, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გვალვებია და ჭირნახულის ზრდა შეფერხებულია. ამ მდგომარეობას მხოლოთ მორწყვით უშველით.

მცენარის ცხოვრებაში წყალს დიდი მნიშვნელობა აქვს. ის არის მცენარის ზრდის ერთი უმთავრესი მომქმედი ძალა. ის მცენარეს ხელს უწყობს ყვავილობაში, ზრდაში, ნაყოფის გამოღება - დამწიფებაში და სხვა.

წყალი შეადგენს მცენარის ერთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს. მოზარდ მცენარის სხვა და სხვა ნაწილში წყალი 40—70 პროცენტამდე არის.

აქედანაც აშკარად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის წყლის მარაგს.

გვალვა ყოველგვარ ხეხილ-ბოსტნეულის ზრდა-დამწიფებას აფერხებს.

ამასთანავე გვალვის დროს მოსული ნაყოფის გემო და ხარისხიც მდარეა.

სარწყავ წყალს თან მოაქვს სხვა და სხვა საკვები ნივთიერებანი, რომლებიც მიწაზე ილექებიან და მცენარეულობის ზრდა - განვითარებას ხელს უწყობენ.

მორწყვის შემდეგ ნიადაგი ნესტიანდება და მცენარეებს უადვილდებათ იქიდან საკვები მასალის ამოღება.

ამიტომაცაა, რომ სარწყავი მიწები ბევრათ უფრო მეტ მოსავალს იძლევიან, ვიდრე ურწყავი. სხვა და სხვა ადგილზე, იმის და მიხედვით, თუ როგორია ახლო-მდებარე წყლის დონე და მიმდინარეობა, მორწყვაც სხვადასხვა წესით უნდა.

მდინარეების პირას მდებარე ბოსტნებში წყალი დიდრონი ბორბლებით გადადის, რომლებზედაც პატარ-პატარა ყუთებია მიკრული. ასეთ მორწყვის წესს ხშირად შეხვდებით ახალციხის მაზრაში.

ჩვეულებრივ კი წყლისთვის მომაღლო ადგილებზე აკეთებენ აუზებს და იქიდან ჭვალების შემწეობით დაქანებაზე უშვებენ წყალს. მაგრამ თუ ადგილი დაქანებულია და მაღლა მდინარე ან ჭა არის, მაშინ აუზი არ ესაჭიროება.

დიდრონ სამრეწველო ბოსტნებში წყლის მთავარ აუზიდან გაჰყავთ თხრილები.

თხრილები პატარა შტოებით შეერთებულია ბოსტნის ყოველ კუთხესთან იმ ვარაუდით, რომ მორწყვის დროს წყალი ყოველ კვალს ერგოს.

გლეხის პატარ-პატარა ბოსტნების მორწყვა ძალიან ადვილია. მხოლოთ საჭიროა ვიქონიოთ სარწყავი ვედრო.

სარწყავი ვედრო ცინკის ჭურჭელია, რომელსაც თავში ნასვრეტებიანი ბადის მაგვარი ჩამოსაცობი აქვს. ამ ბადის შემწეობით მოსარწყავი წყალი თანაბრად ნაწილდება, ბოსტნეულს რბილათ ეცემა და არ აზიანებს.

ზოგიერთ ადგილებში მეღებულია კოკით რწყვა, მაგრამ ეს არ ვარგა, რადგან კოკის პირიდან წყალი ერთბაშათ გადმოდის და ბოსტნეულს თავის სიმძიმით აფუჭებს.

ყველა ბოსტნეულს ერთნაირი რაოდენობის წყალი არ სჭირდება. მაგალითად მარწყვი მაისიდანვე კარგათ უნდა ვრწყათ, კომბოსტოს კი, შედარებით ნაკლები მორწყვა ესაჭიროება.

მორწყვა უმჯობესია საღამოობით. საღამოს მორწყული ნიადაგი ისრუტავს, იმარაგებს წყალს და აწვდის მცენარის ფესვებს.

შუადღისას მორწყვა არ ვარგა, რადგან წყალი ცხელდება, ორთქლდება და მცენარეს უჭირს იმით სარგებლობა.

ღრუბლიან ამინდებში მორწყვა დღის ყოველ დროს შეიძლება.

სინესტის მოსამარაგებლად და წვიმის წყლის უკეთ გამოსაყენებლად საჭიროა ბოსტნის ხშირ-ხშირათ გათოხვნა.

გათოხნილი მიწის ზედა პირი ფხვიერია და სინესტეს კარგათ იჭერს.

**მეურნე.**

## წ. არმიელისთავის საჭირო ცნობები სავეტერინ დარგიდან.

**რაზეა დამოკიდებული აცრის სარგებლიანი დაბოლავება** და კეთილი ნაყოფის გაიოლება?? იგი დამოკიდებულია: 1) ავადმყოფობის მთავარი აგენტის იმისთანა განვითარების დროს გამოღება და ხმარება, როდესაც მას ჭირის შეყრის უნარი აქვს, მხოლოდ ცხოველს კი არა ჰკლავს. 2) სითხე—რომელსაც ვუშხაპუნებთ ცხოველს სხვა და სხვა მიზნით, უნდა იყოს გაკეთებული დაავადმყოფებული ცხოველის იმისთანა სისხლისაგან, რომ მასში, გარდა იმ ბაცილებისა, რომლითაც ავადმყოფობა გვსურს გამოვიწვიოთ, არავითარი სხვა ბაცილები და ბაქტერიები არ უნდა ერივნენ.

3) სისხლით და სითხით აცრა უნდა სწარმოებდეს თავის დროზე, ესე იგი მაშინ, როდესაც ავადმყოფობამ ახლად იჩინა თავი—როდესაც ავად გაჰხდარია ერთი ან ორი თავი საქონელი, ან და ერთ ოჯახშია მარტო აღმოჩენილი. თუ აღნიშნული პირობები უკლებლივ იქნა შესრულებული-სრულებით უშიშრად შეიძლება საქონლის აცრა. „ციმბირის წყლულის" წინაამდეგ ასაცრელ მასალად ჩვენ ვხმარობთ ორი მეცნიერის მიერ გამოგონილ პრეპარატს (წამალს), რომელსაც ჰქვიან „ვაქცინა"; ეს ვაქცინა გამოგონილია, უფრო მართალი იქნება ვსთქვათ—განვითარებულ — შეზავებულია, ხარკოვის სავეტერინარო ინსტიტუტის პროფესორ ცენკოვსკის მიერ და ყაზანის სავეტერინარო ინსტიტუტის პროფესორი ლანგის მიერ. ამ ვაქცინების უმთავრესი დამახასიათებელი თვისება შესდგება იმაში, რომ ცხოველის სხეულში ვაქცინების შეშხაპუნების შემდეგ—იგი ავად უნდა გახდეს ამ ნაირ ნიშნებით: სიცხის აწევა და იმ ადგილას, სადაც ნემსები დავკარით, მცირე ოდენი სიმსიმეს გამოჩენა და როგორც შედეგი—ცხოველისადმი შეურყეველი იმუნიტეტის გამოწვევა, თუ ეს ნიშნები აცრის შემდეგ თვალ წინ გადაგვეშალა, მაშინ თამამად შეგვიძლიან ვსთქვად, რომ აცრამ სასურველად ჩაიარა.

ჩვენ, ამ სტრიქონების დამწერი, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ ციმბირში ყოფნის დროს, ვმუშაობდით „ციმბირის წყლულის" წინაამდეგ „აცრის" საშუალებით; შედეგები ჩვენი მუშაობისა გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „ვეტერინალურ—სანიტალურ ქრონიკაში", (იხ. 1912 წ. წიგნი 1) რის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებნი ძრიელ თხოულობდენ საქონლის აცრას; განაჩენ-განაჩენზე უგზავნიდნენ გუბერნატორებს და თხოულობდნენ ვეტ-ექიმებს და ასაცრელ მასალას.

ჩვენ ავცერით ალბაზინის რაიონის, ყაზახებით დასახლებული, სოფლები; ასაცრელ მასალად ვხმარობდით ცენკოვსკის „ვაქცინას", რომლითაც 50—100 შემთხვევაში ჩვენ ვახწევდით როგორც ადგილობრივ, ისე ტერმიულ რეაქციას, ესე იგი, აცრის შემდეგ, ცხოველს სიცხეს აძლევდა, ნემსით დაკრულ ალაგას პატარა სიმსიმეს უჩენდა, ცხოველი ადვილად იტანდა ავადმყოფობას და ითვისებდა ხანგრძლივ და მტკიცე იმუნიტეტს.

(გაგრძელება შემდეგ)

**ბასრი**

*) იხ. „წ. ა." № 521

# ≡მეცნიერება და ტექნიკა≡

**როგორ მოქმედებს მუსიკა ყვავილებზე.**

ერთ ერთ ამერიკულ ჟურნალში მოყვანილია ცნობა ერთი მეტად საყურადღებო ცდის შესახებ: ეს ცდა აშკარავებს რაღაც საიდუმლოებას მცენარეთა ცხოვრებაში.

მუსიკის ხმაურის დროს შეამჩნიეს, რომ ყვავილები თავის თავთავებს პირს იბრუნებენ მოწინაამდეგ მიმართულებით. ესეიგი თუ მუსიკა მოისმის მარჯვნიდან ისინი მიბრუნდებიან მარცხნით ეს დღით. განსაკუთრებით მგრძნობიერი არიან ამ მხრივ „მიხაკი" და „ლილია".

**მაშხალის გადაშვება მთვარეზე.**

ამავე ამერიკულ ჟურნალში კიდევ არის ცნობა მოყვანილი იმის შესახებ, რომ გუდარდი 4 ივლის აუცილებლად გაუშვებს თავის მაშხალს მთვარეზე. გოდარდი სრული დარწმუნებულია იმაში, რომ მისი რაკეტა გასცდება დედა-მიწის მიმზიდველობის არეს, რის შემდეგ თვით მთვარის მიმზიდველობით ის დაეცემა დანიშნულებისამებრ.

**ჯიბის ჭოგრიტი** (ტელესკოპი).

ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გაუმჯობესდა ტელესკოპების ტიპები ამერიკაში ერთი მხრივ სწრაფად ვითარდება გიგანტიური-უდიდესი ტელესკოპები, რომელთა საშვალებათ შესაძლებელი ხდება მთვარეზე დანახული იქნეს ყველაფერი. მეორე მხრივ დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი იარაღი ხელმისაწდომი შეიქნეს ყველასათვის. აქ საჭიროა ტელესკოპების ისეთი ტიპის შემუშავება, რომლის ტარება შესაძლებელი იქნეს ჯიბითაც კი და გამდიდებლობაც დამაკმაყოფილებული ექნეს. სწორედ ამ მიზნით ცნობილი ცეისის ფირმა გერმანიის ქალაქ იენაში ამზადებს მცირე სიდიდის ტელესკოპებს დიდი გამდიდებლობით. ამ ტელესკოპის სიგრძე სულ უდრის 7 სანტიმეტრს. ის თავის სიდიდით არ აღემატება ჩვეულებრივი წუმწუმის (სპიჩკის) კოლოფის სიდიდეს. ამ მცირე ტელესკოპების ხედვის ველი სამჯერ უფრო მეტია ვიდრე ჩვეულებრივი 8 გამდიდებლობის მქონე გალილეის ტიპის ჭოგრები.

**ახალ ელექტრონის შესახებ.**

აქამდე ცივი ლითონებიდან ელექტრონის მიღება შეუძლებელი იყო. ამ ჟამად ერთმა ამერიკელ ფიზიკოსმა შესძლო 200.000 ვოლტი ძალით მიეღო ელექტრონი ცივი ლითონებიდან რაც მეტად საყურადღებო მოვლენაა ამ მიმართულებით.

**შეიხი.**


ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„კრასნაია ზვეზდა"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან"** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანჩლაძე.